# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 228. ხუთშაბათი, 17 ივნისი 1904 წ. გაზეთის № 2527.




**გენერალი სამსონოვი**

17 მაისს ვაფანგოუსთან ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.



**გენერალი გენგროსსი**

მარცხენა ფლანგის უფროსი, რომელიც დაიჭრა ვაფანგოუსთან ბრძოლაში.



**გრაფი ნ. ვ. ამფელდი**

საზღვრების დამცველ რაზმის უფროსი. ვაფანგოუსთან ბრძოლაში მიიღო დიდი მონაწილეობა.



**პოდპოლკოვნიკი სპირიდონოვი**

რომელმაც შეიტანა პორტ-არტურში სამხედრო სურსათი, თუმცა იაპონელები გზაზე უდგნენ.



ხელმწიფე-დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული სალეებს ჰკერავს დაჭრილ და ავადმყოფ მეომართათვის.

## ი ა პ ო ნ ი ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან.)



იაპონელების სადილი.

# სოლონი ლიდიაში

### ფილოსოფიური ამბავი

(თარგმანი *)

უცნაური გაზაფხული დაიჭირა ლიდიაში: იგი კიდეც ახარებდა და გულსაც უკლავდა ხალხს. რაღაც გაუგებარი სიუხვე მოეფინა ქვეყანას. სრულებით აღარ იყვნენ ღარიბნი და გაუმაძღარნი. ასეთი ცხოვრება დაიწყო ამ რამდენიმე თვის წინად, როდესაც მეფის ბძანებით მუქთად ფქვილის დარიგება დაიწყეს, როგორც სარდახს, ისე სახელმწიფოს სხვა თემებსა და ქალაქებში. ჯერ მარტო ძლიერ ღარიბები იღებდნენ მოწყალებას, მაგრამ შემდეგ, როდესაც დაინახეს, რომ ულეველია როგორც საზრდო, ისე მეფის წყალობა და როდესაც გაიგეს, რომ ყველას იმდენი ფქვილი შეეძლო წაელო, რამდენიც უნდოდა, ძლიერ ღარიბებს სხვებმაც მიჰბაძეს. ყველა იღებდა დაუშრეტელ წყაროდან, ყველა სცდილობდა, რაც შეიძლება ბევრი ეგდო ხელთ. ზოგიერთებმა დაიწყეს გამოძიება ამ საკვირველ სიმდიდრის მიზეზებისა და გადასწყვიტეს, რომ კრეზმა ბედნიერ საგარეო პოლიტიკის მეოხებით შეჰსძლო უზრუნველ ეყო ხალხი ამ აურიცხველ პურით. უმრავლესობა კი თავს არ იმტვრევდა მიზეზის გამოსაკვლევად: იგი სიხარულს ეძლეოდა მხოლოდ. ბოლოს და ბოლოს ამ უცნაურ სასწაულს ისე მიეჩვია ხალხი, რომ აღარაფერი აღარ უკვირდა.

მართალია, იყვნენ ისეთნიც, რომელთაც არ მოსწონდათ ეს ახალი დრო: მიწათ-მოქმედნი, მემამულენი და ვაჭარნი. პურმა სრულიად დაკარგა ფასი; ამისთვის უკმაყოფილებმა თავი მიანებეს მუშაობას. ლიდიის მშვენიერი სახნავები ერთიანად ბალახ-ბულახით აივსო: აღარავინ ზრუნავდა ამისთვის, აღარავინ სცდილობდა იმის დაცვას აოხრებისაგან. არც საჭირო იყო, რადგან მეფის ბეღელი გამოულეველი აღმოჩნდა.

იმ ლიდიელებზე, რომელნიც მიწის დამუშავებას არ მისდევდნენ, ყველა ამან მეტად დამაქვეითებელი, დამაუძლურებელი გავლენა იქონია. ჩაქრა ცოცხალი მოქმედება. მამაკაცები დაზარმაცდნენ; ამასთან რაღაც ნაღველმაც შეიპყრო ისინი. იმათ ეხლა, წინანდელთან შედარებით, ცოტა საზრუნავი ჰქონდათ, ამიტომ უქმად ატარებდნენ დროს, ადვილად ბრაზდებოდნენ და ღელავდნენ. ძალღონე, რომელიც სამუშაოზე არ იხარჯებოდა, აჩვევდა კაცს ქეიფსა და ჩხუბსა და გარყვნილებას. მცხოვრებნი დაინტერესდნენ აგრეთვე პოლიტიკით და ამ საქმეს დიდის თავგამოდებით და ხმაურობით მისდევდნენ. ეხლა კრეზს უკმაყოფილებას უცხადებდნენ, ემდუროდნენ. გაჩნდა უკვე დასი, რომელსაც რევოლიუცია ჰსურდა. ამ დასის წინამძღოლნი ეკუთვნოდნენ გაღარიბებულ მიწათ-მფლობელთა წოდებას.

— ეს შენი დიაკრიელები ღელავენ, კრეზ,—სთქვა სოლონმა, როდესაც სასახლეში ყველაფერი გაიგეს: —მე იმათ დიდი ხანია ვიცნობ,—ხალხი ყველგან ერთნაირია.

მეფის ერთმა მახლობელმა, სასტიკმა სარდალმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ლიდიელების დასამშვიდებლად ეხლა პატარა ომია საჭირო. შეიძლება, მაგალითად, სპარსეთის კიროსს შევებრძოლოთ.

სასახლეში უკვე არსებობდა მთელი სამხედრო დასი, რომელსაც მხედრის სიტყვები ძალიან მოეწონა. კრეზმა ჯერ ხნობით ომის შესახებ ფიქრი გადასდო.

ამ დროს ვიღაც მოვიდა მილეთიდან და, სხვათა-შორის

## ი ა პ ო ნ ი ი ს   ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)



ბრინჯის ცეხვა.



ჭიის ხარკის გარეცხვა.



ბოსტნეულობის გამყიდვლი.



ძაფის რთვა.

— როგორ?—წამოიძახა კრეზმა:—თალესი დაბრუნებულა და პასუხს კი არა ჰგზავნის? გესმის, სოლონ, რასა ნიშნავს ეს? ჩვენ მოუთმენლად ველით იმის პასუხს და ის კი გაჩუმებულა!

— განა კიდევ გესაჭიროება თალესის რჩევა, ლიდიის მეფევ?—ჰკითხა სოლონმა და ხელით ქალაქისაკენ მიახედა.

— რასაკვირველია!—სიჩქარით უპასუხა კრეზმა:—ეხლა უფრო ვსაჭიროებ იმის რჩევას, ვიდრე წინად! სული მიშფოთავს. წინად ვიცოდი, ვის მხარეს ვიყავ. შენ გეთანხმებოდი, ეზოპოს! ეხლა ალარაფერი ვიცი. შენი ბრალია ეს სოლონ!

— გაგზავნე კაცი მილეთში,—წყნარად სთქვა სოლონ-

კი მანამდე მოვამზადებთ ფიალას სუნელოვან ღვინით სავსეს და ჩავასხამთ შიგ სწრაფად მომქმედ საწამლავს.

— გვერდით მოუდოთ აგრეთვე სამოთხის ვაშლი, რომელსაც ახლად ჯვარდაწერილნი ინაწილებენ,—დაჟინებით დაუმატა ეზოპოსმა.

— დეე, ასე იყოს!—გადასწყვიტა კრეზმა:—დეე, ერთიც და მეორეც მზად იყოს! სამოთხის ვაშლი და ფიალა საწამლავით. ახლა კი ვნახოთ, რას გვეტყვის თალესი!

კაცი ისევ მიჰქროდა მილეთისაკენ. როცა სარდახში დაბრუნდა, ძლივს წვალებით მოახერხა ქუჩების გადავლა, რადგან ყველა ქუჩა სავსე იყო მეამბოხეებით. კრეზის მეომარნი მეამბოხეთ ებრძოდნენ. იარაღის ხმა მეფის ოთახებამდე აღწევ-

ეზოპოსი და ორივე ახალგაზრდა. კრეზის წინ იდო ოქროს ფიალა და სამოთხის მშვენიერი ვაშლი.

— ომფალა,—ეჩურჩულებოდა ევკოსმოსი:—ნუ გეშინიან, თავ-გამოდებით დაგიცავ, თუ ბრბომ აქ შემოსვლა გაბედა!

— მე არაფრისაც არ მეშინიან, ევკოსმოს, როცა შენ ჩემთანა ხარ. დეე გაგვდევნონ აქედან, გამოგყვები ბოლოსაში, ყველგან, სადაც კი შენ მოისურვებ წასვლას. მე შენი ცოლობა მინდა, შენი, შენი და სხვა არავისი! მინდა შენ გეკუთვნოდე, მიყვარხარ!

კრეზმა თალესის პასუხი წაიკითხა. მძიმედ ამოიოხრა და ბარათი მეგობრებს გაუწოდა. წყნარად, აკანკალებულის ხმით ეზოპოსმა წაიკითხა შემდეგი: „მეფევ! გადავწყვიტე შენის თხოვნის ასრულება და ამიტომ გაუდეგ გზას. მე არ მომეპოვებოდა ის სიბრძნე, რომელსაც შენ ჩემგან მოელოდი. საბერძნეთში ერთი კაცია მხოლოდ, რომელმაც კარგად შეისწავლა ბუნება სახელმწიფოსი და რომელსაც შეუძლიან ამ საქმის გადაწყვეტა. მინდოდა მენახა ეს კაცი და ამიტომ ათინაში წაველი. იქ გავიგე, რომ იგი სამშობლოდან წასულა. მივყევი იმის კვალს და ეგვიპტეში ამოვყავ თავი. მაგრამ იქაც ველარ მიუსწარ. ხოლო როცა კვიპროსზე მოვედი, გავიგე, სადაც არის. იგი შენთან ყოფილა. ამიტომაც არ შეგატყობინე ჩემი პასუხი. შენ თითონ შეგიძლიან გამოჰკითხო და გაიგო ყველაფერი. მეფევ, დაემორჩილე იმას, რასაც სოლონი გეუბნება!“

ათრთოლებულის ხელით კრეზმა ასწია ოქროს ფიალა, კანკალით გადასცა სოლონს და შემდეგ ცრემლით სავსე თვალებზე ხელები მიიფარა.

სოლონი მიუახლოვდა ახალგაზდებს.

— ომფალა, საჭიროა შენ საქრმოს მოველაპარაკო ერთ დიდ საქმის შესახებ. მამაშენს სურს, რომ ჩვენ, მამაკაცები, მარტონი დავრჩეთ. შეგიძლიან აკოცო ამას და შემდეგ..... წადი!

უსაზღვროდ ბედნიერი ომფალა მიეკრა ევკოსმოსის მკერდს. აუწერელ სიხარულს განიცდიდა ამ ჟამად ომფალა. ღიმილით გაინთავისუფლა თავი და მორჩილობით გავიდა, რათა მამაკაცნი მარტონი დაეტოვებინა.

— გამიგონე, ევკოსმოს,—მიჰმართა სოლონმა:—შენ კიდევ იმ აზრისა ხარ, რომ შეიძლება ხალხის გაბედნიერება. ხომ გესმის ქალაქიდან მეამბოხეთა ღრიანცელის ხმა? ამისი მიზეზი შენი ღვთიური საჩუქარია. ნუთუ ეხლაც იმ აზრისა ხარ, რომ ხალხს შეიძლება პური მიეცეს და შრომა და მზრუნველობა-კი არ მოეთხოვოს? განა საუმჯობესოდ არ მიგაჩნია, შენი საიდუმლო შენვე დაიტოვო? გაანადგურე, დაივიწყე ეს საიდუმლო! ომფალა-შენია, რადგან ღირსი ხარ იმისი; კრეზი მოგათხოვებს ომფალას, თუ შენ დაჰფარავ და შეატყობინებ შენ საკვირველ გამოგონებას. ყური დამიგდე: დეე, ხალხმა წინანდებურად ოფლი იწუროს და იმუშაოს ნახნავებში,—დეე, მოიღუნოს წელში და დაბერდეს მუშაობაში. ეს კარგია იმათთვის. ისინი მუქთად არა სცხოვრობენ...

ევკოსმოსი გასწორდა:

— მგონია, გინდა გამომცადო, სოლონ! იქნება ჰფიქრობ, იმდენად დაცემული ვარ, რომ ჩემ სიტყვებს ვუღალატო. არა, ომფალა ჩემი საცოლეა და ხვალ გამოვამჟღავნებ ჩემ საიდუმლოებას. ის, რაც მე ვიცი, მე არ მეკუთვნის, იგი ხალხისაა და იმისათვის ვინახამ ჩემ საიდუმლოებას. მართალია, ძირს ბრბო ბობოქრობს, მაგრამ იმისი უფლება ჩემ საიდუმლოებაზე ამით არა მცირდება. ის იმიტომ ბობოქრობს მხოლოდ, რომ არ იცის, რაშია საქმე. მე თვალებს აუხელ ყველას!

მაშინ წყნარად მიუგო სოლონმა:

— შენ მიმიხვდი, მინდოდა გამომეცადნე, ევკოსმოს. მიყვარხარ ისეთი როგორიცა ხარ შენ. არავინ ისე არა მყვარებია, როგორც შენ, ჩემო კეთილო მეოცნებევ, მხსნელო კაცობრიობისავ. შენ ღირსი ხარ შენის ოცნებისა, ოცნების ომფალას შესახებ. ვფიქრობ, რომ შენი სული ეხლა მოხიბლულია იმის სილამაზით. შენ არასოდეს არ გამოგიცდია ასეთი სანეტარო წუთები. ულრმეს მოხუცებამდისაც რომ მიაღწიო, ამაზე ბედნიერი არ იქნები... ყური მიგდე, კრეზ, მე და შენ ვსაუბრობდით ნამდვილ ბედნიერებაზე. უყურე, აი, ის ბედნიერება! ამას უყვარს ხალხი და ომფალა. ყველა, ვინც კი იცნობს ევკოსმოსს, მისდამი სიყვარულით არის გამსჭვალული... ევკოსმოს! გამოსცალე ეს ფიალა, რომელიც კრეზმა მთხოვა გადმოგცე: დალიე კაცობრიობის საბედნიეროდ და იფიქრე შენს საყვარელზე!

ევკოსმოსმა ფიალა გამოსცალა...

ცატო—მე.



როგორ მოგწონთ, ვერ არის სა-„ათავო“ თავი!?

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.